ჩიბინეი

22

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1560). ნოემბერი, 1979, ფასი 20 კაპ.

გადაჭრით ებრძოლოთ ყოველგვარ უცხო გავლენასა და წარსულის გადმონაშთებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. პროპაგანდამ და აგიტაციამ უნდა დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა ცხოვრების წესისადმი ისეთი მტრული მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, მუქთახარობა, მისწრაფება მეტი წაგლეჯონ საზოგადოებას და არაფერი არ მისცენ მას; სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მომხვეჭელობა და მექრთამეობა, უყაირათობა და მუწლანგველობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულება.

ამონაწერი მ. ა. სუსლოვის მოხსენებიდან იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე.

ნახ. ნ. მალაზონიასი

ჩემთვის — სახელმწიფოსთვის

ფულის დათვლა ჩვენც ვიცით!..

ნინიკაანთა და მამუკაანთა შორის შუღლმა მამა-პაპათაგან იარა და დღემდე მოვიდა. ჯერ მსხვილმანებში ედგნენ ჯიბრში, **მერე** — წვრილმანებში, ერთმანეთის შენამატი შურდათ. დათა ნინიკაშვილს სიდედრი რომ მოუკვდა, ქელეხში იმდენი შესაწირავი მოუგროვდა, სახლი წამოჭიმა. შურმა დაადარდიანა ლადო მამუკაშვილი. დათას სიდედრს მალე სიმამრი მიჰყვა, დათამ „მოსკვიჩი" იყიდა... მერე ერთი გამოყრუებული დიდედაც რომ მოუკვდათ და ნინიკაანთა ძვირფასი იმპორტული ავეჯი მოიტანეს, აფოიაქდა და აიღერღა ლადო.

ლადოს არც სიდედრი ჰყავდა, არც სიმამრი. ობოლი ლიზა ამ ოცი წლის წინ შეირთო. შვილები გვიან იყოლათ. თხუთმეტი წლის ბიჭს ვერ დააქორწინებდა, ვერც ცამეტი წლის გოგოს გაათხოვებდა...

ერთ დღეს ყანიდან შინ მობრუნებულ ლადოს უმძრახი მეზობელი გზაზე დახვდა და რაღაც ქაღალდი გაუწოდა, შინ არ იყავით და ფოსტალიონმა შენი დეპეშა მე დამიტოვაო. ლადომ მადლობა არ უთხრა, ისე გამოართვა დეპეშა. თბილისიდან ატყობინებდნენ, ეგებ პაპიდაშენს ცოცხალს ჩამოუსწროო. მარტოხელა პაპიდა მეზობლების ანაბარად იყო ქალაქში.

— ახლავე წადი, ლადო! — რაღაც ისეთი აღტაცებით შესძახა ლიზამ, როცა დეპეშა წაიკითხა, ლადო გაკვირვებული მიაჩერდა.

— ახლა მეძახიან, როცა კვდება?

(დასასრული მე-2 გვ.)

ახლა, ლადო, ახლა... დროზე ჩადი, სხვამ არ წაიყვანოს!

— რამ გადაგრია, ქალო?!

— გადავირიე კი არა, ჭკუა მოიხმარე, ბედი კარზე მოგვდგომია! დაგავიწყდა, ქვლეხებით როგორ აშენდნენ ნინიკაანი?

ლადოს სახე გაებადრა, მხრები გაშალა და შესიახა, ეს რა ჭკვიანი დედაკაცი მყოლიაო.

იმავე დღეს აიბარგა და თბილისში წავიდა. ორ დღეს არ ჩანდა. მესამე დღეს სოფლის გზაზე დახურულმა მანქანამ ნელა აიარა. ნაცრისფერ ძარაზე შავი ზოლი გასდევდა. მამუკაანთ ჭიშკართან გაჩერდა და აივანზე გამოსულმა ლიზამ კაბინაში შოფრის გვერდით ლადო დაინახა.

— ვაი, ჩემს მოსწრებასაო! — შეჰკივლა ქალმა და ასე წივილ-კივილით გაეანთო გზაზე. მთელ უბანს შემზარავი ამბავი მოჰფინა.

სოფლის ბიჭებმა პაპიდა ნუცას ცხედარი ფრთხილად გადმოიღეს და ციმციმ შეასვენეს შინ.

— აბა, ახლა ფხა გამოიჩინეო! — წააქეზა ცოლმა ქმარი, — ისეთი ქელეხი უნდა გავმართოთ, ნინიკაანთ თვალის ექიმი დასჭირდეთ!

საღამოს, როცა სამძიმარზე მოსული მეზობლები გაიკრიფნენ, როცა ბავშვებმაც დაიძინეს, ერთ პატარა ოთახში განმარტოვდნენ ლიზა და ლადო. ჯერ ის იანგარიშეს, რა დაუჯდებოდათ ქელეხი, რამდენ კაცზე გაეშალათ სუფრა, მერე ის ივარაუდეს, რა შემოსავალი ექნებოდათ და ლადოს ალმურმა აჭკრა.

ფულს იაკობა გვასესხებს, ბლომად უწყვია, — მოაგონა ცოლმა ქმარს, — მაგისი ნუ გედარდება! ვალსაც გადავფარავთ და... — ლიზას თვალებში ბედნიერების სხივი აკიაფდა, — დეპეშები ხვალ დილასვე უნდა ვაფრინოთ!

ლადომ ახალი სუფთა ფურცელი აიღო და ნათესავების ჩამოწერას შეუდგა. მაგადანში სამუშაოდ წასული გარე ბიძაშვილიც არ დაივიწყა.

— აბა, ეგ იქიდან ჩამომსვლელია? — შენიშნა ლიზამ.

— მამამისის ქელეხში ასი მანეთი დამიდვია! — გული მოუვიდა ლადოს, — ვერ ჩამოვა და ფული გამოგზავნოს! შესაწირავი ვალია, ვალს კი გადახდა უნდა! ბიჭოს!

დილით უამრავი დეპეშა ჩაიტანეს ბავშვებმა ფოსტაში, ლადომ კი ჯერ ფულის სასესხებლად თავის მოკეთეს — იაკობს გაუარა, მერე ღვინოზე წავიდა მეზობელ სოფელში. საღამოს ორი დიდი კასრი მანქანიდან ძლივ-ძლივობით გადმოიღეს ბიჭებმა. უასაბი გაბრო დეკეულებს შეჰპირდა. ახლა ამაზე ირბინეს... და განა მარტო ამაზე! ორ დღეში ლადოს სიქა გავარდა, ხიზილალაც კი იშოვა, მაგრამ ცოლმა მოაგონა, ნინიკაანთა არც ერთ ქელეხში ცოცხალი არა ჭქონიათ, თავი უნდა მოიკლა და სუფრაზე ბლომად დაყაროო. ცოლის საზრიანობა ძალიან მოსწონდა ლადოს. ოღონდაც ნინიკაანთ თვალი დავსებოდათ შურით.

ლადო ცხრაპირ კანში გაძვრა და თევზის საქმეც მოაგვარა. დილით ადრე ჭიპაანთ ვანომ „კოლხოზნიკით" გამოუარა. შეაწყვეს ქვაბები და წავიდნენ.

მაგრამ ბრაკონიერებს თევზის დაჭერა ვერ მოესწროთ, ლადოს ბოდიში მოუხადეს და ნაშუადღევამდე აცდევინეს: ლადოს შინ მობრუნება შეაგვიანდა. რახან თევზი იშოვა, ლადო დაგვიანებას არად აგდებდა, ცოტა ძვირად კი იშოვა, მაგრამ შეშინებულ ბრაკონიერებისგან სხვანაირად არც გამოელოდა.

მზე გადახრილი იყო, მანქანა ლადოს ჭიშკარს რომ მიადგა. ჭიშკარი ეს დღეები სულ მოფარღალალებული იყო, ხალხს თავისუფლად რომ ევლო, ახლა კი მოხურული დახვდა. ლადო მანქანიდან გადავიდა და ჭიშკარი გააღო. ამ დროს თვალი შეასწრო ლიზას, კიბესთან გახევებული რომ იდგა. ქალი აღელვებული ჩანდა და ენას ვერ სძრავდა, მერე, როგორც იქნა, ამოღერღა:

— პაპიდა ნუცა აღარ არი!

ლადო დაიბნა. ეს რა ემართება ჩემს ცოლს, ვინა ვგონივარ, ვითომ ახალი ამბავი მითხრაო.

— რას მეუბნები, გონზე ხარ?! ლადო ვარ, უცხო კი არა!..

— ჰოდა, ლადო რომ ხარ, იმიტომაც გეუბნები!.. ხო არ დაპატიჟე და არ დაუძახე?!. ის აშარი ლუბა მოგვეჭრა თავისი ძმისშვილებითა, მიცვალებულს წივილ-კივილით ეცა, ამას რასა სჩადიხართ, ქალი თავის ქმართან უნდა დაიმარხოსო, დასტაცეს ხელი მკვდარსა და... აბა, მე რას გავხდებოდი იმ მუტრუკებთან?! მანქანაში რომ ჯდებოდა, იცი, რა მომაძახა ლუბამ თავისი დორბლიანი ლაშებითა? ფულის დათვლა ჩვენც ვიცითო!..

თენგიზ გოგოლაძე

პური — ხშირად ინფარქტის პირველწყარო.

გამომძალველი — ძალის პოზიციის ძომხრე.

მეკრთამე — სინდისით მოვაჭრე.

ლოთი — კაცი, რომელიც სიცოცხლის დღეებს ჭიქებით ითვლის.

საქმოსნობა — ვითომდა კეთება.

ამირან მიქაუტაძე



ვოლტერი

აფორიზმები ეროვნული ბიბლიოთეკა

აკეთებს ბუნება ჩვენთვის, მით უფრო ნაკლებს ვაკეთებთ ჩვენ მისთვის.

● რომ გაიგოთ, არსებობს თუ არა ღმერთი, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ: გაახილეთ თვალი!

● ცრუმორწმუნე ადამიანი საზოგადოებაში ოვივეა რაც მშიშარა — ჯარში.

თარგმნა

სტანისლავ რაპიჩმა

ცუდად ვაკეთებ, ვინაც ვაკეთებ!..

მე-13 ტრესტის მშენებლებმა წელს **გლდანის მიკრორაიონში ააგეს კინოთეატრის ახალი შენობა,** რომელშიც კინოფილმებს ერთხანს ხალისით ესწრებოდნენ აქაური მცხოვრებლები, შემდეგ კი თანდათან უკლეს სიარულს!..

მშენებლობის პროცესში გულმავიწყ მშენებელ-მემონტაჟეებს „მხედველობიდან გამორჩენიათ" ზოგი „წვრილმანი" — საკანალიზაციო ქსელის მონესრიგება, დარბაზში ვენტილაციის დამონტაჟება და ა. შ... ერთხელ თუ შევიდა აქ სიცხისა და უჰაერობისაგან გათანგული, შეწუხებული მაყურებელი, მეორედ აღარ შედის! როგორც ამბობენ, ამ „უნიკალური" შენობის ამგებ სპეციალისტებს გადაუხვევიათ არსებული პროექტიდან — ორმაგი მინების ნაცვლად ცალფა ჩაუსვამთ და რკინის ჩარჩოებში ჩაუდუღებიათ, მოსაცდელ დარბაზში ფილაქანი დაუგიათ!.. საინტერესოა, რალა მაინცდამაინც გლდანის კინოთეატრის მშენებარე ობიექტი აირჩიეს საცდელად? (მისი დირექტორი უკვე დაიღალა ჩივილით!).

წვიმის შედეგად ჭერი ისე საგანგებოდ მოიხატა ნაირფერადი ლაქებით, რომ თვით დიდ მხატვრებსაც შეშურდებათ!.. ტელეფონიც გაბრაზდა მაყურებელივით, გაიბუტა და ხმას არ იღებს!..

დ. ზურაბიშვილი

მაკითხვია და ნახვა ნაწერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილხილბოსტანვაჭრობის უფროსს — ამხ. გ. ა. თელ ი ა ს

კატივცემულო გურამ!

ერთობ მახარებს თქვენი მაღაზიების აჭრელებული ვიტრინები, ნაირ-ნაირი ნუგბარი ხილი, ბოსტნეული, შნო და ბარაქა!.. უკანასკნელი წლების თავგამოდებამ ნამდვილად მიგვიყვანა სასიქადულო სიუხვემდე და ტყუილი რომ არ ვთქვათ, იმდენი გვაქვს, მიტანას გაყიდვას, გასაღებას ვეღარ ვასწრებთ და ზოგჯერ გვილპება, გვიჭკნება და გვიფუჭდება კიდეკაც!..

დღეს სახალხო დოვლათის დაჭკნობა და დალპობა არავის ეპატიება! ეგეც არ იყოს, თქვენს მიერ მოწოდებული პროდუქციის უმეტესობა ისეთია, თუ კარგად მოვუვლით, ხვალაც გამოდგება, ზეგაც, მაზეგაც.

გუშინ თქვენს ერთ მაღაზიაში ვაშლი ვიყიდე. დაახეოქა სასწორს უკანასკნელი ვაშლი გამყიდველმა, ეცა ალუმინის ჭურჭელს, აიტაცა და ორი კილოგრამი და ექვსასი გრამი ვაშლი სამ კილოგრამად მომაჩეჩა.

ხელახლა ავაწონინე, რად იპარავ-მეთქი

მაშ, რა ვქნა?! აბა, გახედე იმ ყუთში რამდენი ხალიანი ვაშლი და მსხალი ყრია, მე საიდან დავფარო, შენ თუ არ დაგაკელი და სხვას არ მოვპარეო?! ხახვი რომ შრება, კარტოფილი რომ ლპება, მწვანილი რომ ჭკნება, მე საიდან ავანაზღაუროო?!

შეიძლება, აჭარბებს თქვენი გამყიდველი, მაგრამ სინამდვილისაგან არც ისე შორს არის მისი საყვედური. ხომ არ მოხერხდება, რომ ხალიანი ვაშლი, მსხალი და ლპობაშეპარული კურკოვანი ხილი მაღაზიიდან უკანვე წავიღოთ და სხვაგან გამოვიყენოთ? გამყიდველს რატომ უნდა მივცეთ მიზეზი, ოომ ოფიციალურად, დიდი გულით, გაბედულად და პრეტენზიით გვაკლებდეს წონაში?! ჩემი ნათქვამიდან ზოგი რამ თქვენ თუ არ გეხებათ, დააყენეთ საკითხი, სადაც ჯერ არს, იბრძოლეთ და ცდა ბედის მონახევრეაო, გვასწავლის ანდაზა.

ეს ერთი მხარე. მეორესაც მოგახსენებთ: მე მინდა, თქვენს მაღაზიებში თბილისელი დიასახლისი ქინძის, ან ოხრახუშის, ან ქონდრის, ან რეჰანისა და ნიახურის საყიდლად რომ შემოვა, რომელიმე მათგანის უქონლობის გამო ბაზარში გაქცევა არ მოუხდეს, თორემ, ბაზრამდე თუ მიდგა საქმე, ბარემ იქ იყიდის ყველაფერს ისეთს, როგორიც სურს და რანაირიც გაუხარდება!

ვიცი, მაშინვე ტრანსპორტს მიხსენებთ. სხვის ბორბლებზე ვსხედვართ და ჩვენს ჭკუაზე როგორ ვაგროოთო. კიტრი და ბადრიჯანი სანამ ზედმეტად არ გაიბერება და არ გადამწიფდება, მანამდე რომ არ იკრიფება, ესეც ტრანსპორტის ბრალია?!

მე არ ვაპირებ, ტრანსპორტის მოსამსახურეები და მათი ხელმძღვანელები გავამართლო. ბოროტი ჰმები ამბობენ, თითქოს მძღოლებს ზოგჯერ ხილბოსტნეულით სავსე მანქანები მანამდე დაჰყავთ მაღაზიიდან მაღაზიამდე, სანამ განსაზღვრულ თანხას არ გამოძალავენ და ოფიციალურად დადებულ არაოფიციალურ ფასს (კილოგრამზე ორ კაპიკს, სამს, ხუთს და ზოგჯერ უზალთუნსაც კი) არ წაგლეჯენ! ამის მიზეზია ის, რომ ერთი მაღაზია თუ სავსეა პროდუქტით, მეორეში პირველის ნახევარსაც ვერ ნახავთ. ხომ არ აჯობებდა, მანქანით გამოგზავნილ პროდუქტს პირდაპირ ჰქონდეს მიცემული მაღაზიის მისამართი და სხვა მაღაზიისათვის პროდუქტის დატოვება ძხოლოდ მაშინ შეეძლოს, როცა ადრესატი ოფიციალურ ცნობას მისცემს უარის შესახებ?

ვაჭრობის საქმე თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ, პატივცემულო გურამ, მაგრამ მკრეხელობასთან ბრძოლის უნარში მე ნუ შემეცილებით! ჩვენი ყველაზე დიდი ღვაწლი ის იქნება, რომ მაღაზიის გამყიდველს, მშრომელ კაცს, ჩვენი სამსახურისათვის მოწოდებულს, რაც შეიძლება ნაკლები მიზეზი შევუქმნათ წონაში დაკლებისათვის, მოვსპოთ ეს მიზეზი და მერე არც სიმკაცრის წინააღმდეგი ვიქნები!

გისურვებთ კეთილ გამოზამთრებას, თავზესაყრელ ხილბოსტნეულს და საქმის ისე წარმართვას, რომ თქვენს მაღაზიაში შემოსულ თბილისელ დიასახლისს ორი თავი კერძის გაკეთება მაინც შეეძლოს ბაზარში წაუსვლელად!

თქვენი ნიანგი

ნახ. ნ. მალაზონიასი

ერთი კვასი გაყიდა



როიალი იყიდა!

თბილისელ ჭაბუკ-ქალაქცნობა

თბილისში არასაზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენებულმა „უსუფთაობის ტრესტმა“ დიდი საშემოდგომო გამოფენა-ბაზრობა მოაწყო ზოგიერთ ტაეპარკში (ლისის ტბის მიდამოები), კულტურისა და დასვენების ადგილზე (წყნეთის მიდამოები), ზოგიერთ ქუჩასა (წყნეთის, ნუცუბიძის...), თუ გზისპირას (თბილისი — წყნეთი, ვაშლაჯვარი — ლისის ტბა). ფართო „უსოორტიმენტოთ“ არის წარმოდგენილი დაფლეთილი ტანსაცმელი, ყველა ზომის ცალ-ცალი ფეხსაცმელი, დამტვრეული საწოლები, ნავთქურები, ელექტროქურები, ყველა სახის ტარა (მინის, ლითონის, ხის, ქაღალდის...) და კიდევ მრავალი წვრილმანი, რომლებიც, სინდისთან ერთად, „სარეალიზაციოდ“ გამოუტანიათ უსოფლგულო, შუბლისმაფგაწყვეტილ ადამიანებს..

განსაკუთრებული ძალღონეა ოთაგვრობაა ვაშლაჯვრის მიდამოებში, მდ. ვეიეს ხეიბაში, ვაშლაჯვრისა და ლისის ტბის შემაერთებელი გზის გაჩენვრივ და ა. შ. სადაც, სამრეწველო „საქონელთან“ ერთად, „გამოფენილია“ ხაკვები პროდუქტების მადისაღმეკვეთი მრავალფეროვანი „ნაწარმი“.

„ბაზრობა“ უნდა დამთავრდეს უმოულეს ვადაში! მისი დახურვის ორგანიზაცია და „სარეალიზაციო საქონლის“ ჩუმად გამოტანაზე კონტროლი დიდი ხანია დავალებული აქვთ ფასუფთავების ტრესტის მეხეეურებსა და ქალაქის სანეიდსადგურს.

იჩქარეთ, მეგობრებო!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნახ. გ. ლოგიკისა

დარეჯანი: ლუარსაბ, აბა, თუ ჰკვანი მამაკაცი ხარ, გამოიცან, რამდენი გზაზია ამ რესტორანში?

თბილისის მილიციის ქრონიკებიდან

იმ დროს, როცა „დინამოს“ სტადიონზე ლიგერეულელებს თერთმეტი თბილისელი ფეხბურთელი „ეიგულის“ სისწრაფით უგდეს, სტადიონის მახლობლად თერთმეტი „ეიგული“ „აორძალდა“. თერთმეტ მაყურებელს დიდებული მაგრით მინიჭებული სიხარული ტრიბუნიდან მხოლოდ მეზობელ ქუჩამდე მიაყვა.

გაგაცვიდეთ მანქანების ძებნაში მილიციელები **ეალერი ბალდოვსკი** და **ამირან კანკავა** სულ სხვა ამბავს გადაეყარნენ: ვაზხიუნის დასახლებაში თვალი მოაკრეს ტროტუარზე უშნოდ გაჩხერილ „ერაზს“. მიკროავტობუსის ნომრები 35-71 გაშ ეუფხოვთ — ხელითი გადასწორებულს ჰგავდა, შიგ მსხდომთა ეხარე კამათიც ცუდად ეინიშნათ.

ვ. ბალდოვსკიმ მანქანის კარი გამოაღო, მძღოლს გამოელაპარაკა, უკანა სავარძელზე მსხდომნი რევოლვერის ენით გამოეპასუხნენ!..

ბალდოვსკი დაჭრილ, კანკავა ხეს ამოეფარა, სამმა გაეგიამ ჰაერში გაიზეზეზნა. „ერაზი“ ადგილს მოწყდა.

ამირანმა დაჭრილი ამხანაგი მანქანაში ჩაისვა და ბოროკგმოქმედთა კვალს მიაყვა. „ერაზორგის გადასახვევთან დაეწია. ავგიოტეში მხოლოდ მძღოლი **მიხეილ სარქისის ძე ოვსეპიანი** (მცხ. ბელლვეის ქ. № 19-ში) იჯდა, მოესწრო ორი ნაძირალას ჩამოსმა.

— შემოხვევეთი გადავეყარ მაგ ავაზაკებს, მოგყეებით ვაზისუბანში წამიყვანეს, წელან ეი ბარალის მუქარით მანქანა გამარჭვინეს, თავს უშველეს. არც ეროს არ ვიცნობო, — იფიცებოდა ოვსეპიანი.

* * *

ქუჩაში „ეიგულ“ 93-10 გგო გაარჭვეს. მანქანაში სამნი ისხდნენ. მძღოლს საბუთები მოსთხოვეს. უკანა სავარძელზე შეიარაღებული ახალგაზრდაა!.. ხომ ძალიან წაადგას ეს დასაწყისი ზემოაღწერილ ეპიზოდს? საბჭნიეროდ, ფინალი აქვს განსხვავებული — არავის უსროლია.

„ეიგულში“ ისხდნენ: მანქანის მფლობელი, **რაინიგზის თბილისის განყოფილების გაგზავნილები ნოდარ ქიქიძის ძე კალილაშვილი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა დავით ოთარის ძე მეგზაველი** და **რუსთავის ალმოუარი ქარხნის მუშა გელა გაგუკას ძე გაგულაშვილი.**

გელას ჯიბეში თვითნაკეთი რევოლვერი ედო.

ახლა ჩამორთმეულ იარაღს მილიციის სეიფში ინახავენ. ის ახალგაზრდები კი გუოში ინახავენ სიიდუმლოს, არ ამხელენ, რად უნდოდათ რევოლვერი, რა საქმეზე მიიქაროდნენ ღამის ორ საათზე.

* * *

ბალახიანებში რომ იღებენ და მიღებისთანავე უკვალოდ ქრება, სულ იმნაირი წიგნებით აქვს ბინა სავსე თბილისელს **ივარ ადამიანს ძე ჟვიმვილს** (ბეროსკასის ქუჩა, სახლი № 4).

თაროები, კარადები, ფანჯრის რაფები ლამაზყდინაი წიგნებით აუჭრელებია.

აავრეულოს, რას ეერჩინ? — გაიფიქრებს მკითხველი.

იმას ვერჩინ, რომ მდიდარ ბიბლიოფილს არადანშნეულებისამებრ იყენებს, ძვირფასი წიგნებს ყიდვა-გაყიდვა ხელობად გაუხდია.

რაა თვეა უშუშვარია, მაგრამ ქორკაჭრობით იმფერს შოულობს, ბარე ორ და სამ სამსახურს სდგობ, ერთად აღებულს.

შორს ნუ წავალთ, მარგო პირველი ოქტომბრის ნავაჭრს გაგაცნობთ: ეერთ კლინეგს სამი წიგნი (ექვსი მანეთი ღირს) სამოც მანეთად მიაყიდა.

გაუგეს. საქმიგნის „ეერძო ფილეალს“ ყადალა დადეს. ჩამოართვეს სპეკულაციურ ფასებში გასაყიდად გამზადებული უამრავი წიგნი და არაკეთილსინდისიერი გზით ნაშოვნი 35.000 მანეთი.

გამომძიება, ალბათ, იმითაც დაინტერესებდა, სად და რა გზით შეიძინა ი. ბეეშვილმა დეფიციტური წიგნები.

ნახ. ბ. ფეფიანისა

— *როდის დაიწყო ამან ფონის დასასკლეპად ეარჯიმი?*
— *ხმა რომ დაუფარდა, თავიდან ფონა ფული აკმენ!*

იცით თუ არა თქვენ, რომ...

ბორჯომის რაიონის სოფელ **ზანავსა** და **კორტანეფში** 1969 წელს წვალდდობის გამო დანგრეული ხიდი ისე „კარგად შეაკეთეს“, რომ კარგ აკრობატსაც კი გაუჭირდება ზედ გავლა?

* * *

ლაგანხუთში ტელმანის ქუჩა გათხარეს, ჩაყარეს მილები, თითქოს მიწაც მიაყარეს, მაგრამ საკანალიზაციო ჭები ზოგან ლია და ქუჩა მშვიდობიანად რომ გაიარო, სიგრძეზე ხტომა უნდა ვეხეირებოდეს?

* * *

სამტრედიის რაიონის **სოფელ დაფნარში** ახალგაზრდობას გული ეფლეთ უნდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ მოედანი მეორედ გადაუუხნეს?

* * *

წალენჯიხის რაიონის **სოფელ ჯგალის ლესალეს უბნის** მოსახლეობას კინოსურათის ნახვა ენატრება, კლუბის შენობას სახურავი ქარმა ააგლეჯა, ბოძები კი წაქცევაზეა მისული?

* * *

ახმეტის რაიონის **სოფელი ღუმასტური და ხობის რაიონის სოფელი შუა ხორგა** გერიატორიულად საკმაოდ დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ორივე სოფლის ახალგაზრდობას ერთნაირად ეშინიათ თავიანთ კლუბებში შესვლისა, ამომგგრეულ იატაკში ფეხი არ ჩაგვივარდესო. **გორის რაიონის სოფ. ქორდიდან** კი რედაქციას მოსწერეს: ჩვენს სოფელში არც კლუბია, არც ადგილიქი და არც ამბანოო?

თუ ჯავის გურაბაზაში დაიპირებთ დასასვენებლად წასვლას, თან უნდა წაიღოთ კოფნი, დანა, ჩანგალი და სკამიც კი?

* * *

თბილისელ ვ. დურგლიშვილს (მცხ. კაკაბეთის, 2ა) **ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა № 9-ში მდებარე სამლებრეში** ნეიტონის პერანგი, მწვანე ფერის ნაცვლად, შავად შეუფუძეს?

ფხიკიფონი

აპილგან თბილისის წინდის „ნარიმოო“ გერმოიანების „თეკავის ფაბრიკის ჩვეულებრივ წინდას, მოგეფიოს უნდა ბამბის ძაფისაგან. წინდის ფასს მნიშვნელობა არა აქვს. წინდა ... ...

გასაღები

ლიფტის კარებს შავზე შავი შრიფტით
აწერია: **„არ მუშაობს ლიფტი!“**
მივადექი დინჯად,
მარტოდმარტო,
გაქვავებულ კიბის ესკალატორს.
ჯერ პირველს არ შეხებია ლანჩა —
ას ოთხმოცი საფეხური დარჩა...
ალბათ ბევრი ღვინო დაეხარჯა
ჩვენს მასპინძელს...
ას სამოცი დარჩა!..
შაქრიანი მირჩევნია მაჭარს
დაუდეღარს...
ას ორმოცი დარჩა!..
ხილი სჯობდა,
რად მინდოდა ჭაჭა?!.
ას თხუთმეტი საფეხური დარჩა!..
რად მინდოდა ფიალა და თასი,
ან ყანწი და ან ჭინჭილა?..
ასი!..
ამისთანა ყაჩაღსა და ვაჭარს
რას ავყევი?..
ოთხმოცდარვა დარჩა!..
არა,
მაინც ამსიმაღლე ყანჩა
სად მონახა?
სამოცდარვა დარჩა!..
ან ასეთი არაბული ბაღჩა
სად უშოვა?..
ორმოცდარვა დარჩა!..
თამადას რომ ასე გაექაჩა,
რას ფიქრობდა?
ოცდაათი დარჩა!..
ლიმონათი უნდა სვას და ლუდი,
რას აფუჭებს ღვინოს...
ოცდახუთი!..
ისევ თავის თავი დაისაჯა,
თუ მიხვდება...
ოცდასამი დარჩა!..
კიდევ კარგი,
პირზე ცხვირსახოცი
ცოლმა დროზე მიაფარა...
ოცი!..
მე რომ ვიცი მაგის ხასიათი,
ჭკუას მაინც ვერ ისწავლის...
ათი!..
ალბათ ახლა სახლში პანაშვიდი
გაუმართა ცოლს და სიდედრს...
შვიდი!..
თუმცა ქალიც,
ჩემი ვარაუდით,
არაფერში ჩამორჩება...
ხუთი!..
შეიძლება,
არც მუშტი და სკამი
არ დააკლოს...
არც დააკლებს...
სამი!..
ოჰო!..
ორი!..
როგორ ჩასცხებს?!.
ერთი!
აი კარიც!
შემეწია ღმერთი!
გასაღები? —
ვეძებ,
მაგრამ არ ჩანს:
გა-სა-ღე-ბი მან-ქა-ნა-ში დამ-რჩა!

ვახტანგ ჯავახაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

— სიმართლეს ვამგზავრო, რომ მიმტკიცებ, არ იცი, სიმართლის მთქმელს ცხენი რომ შეკაზმული უნდა ჰყავდეს?

— ცხენი კი არა, 75-ცხენისძალიანი „ჟიგული“ მელოდება აგერ, კარებთან!

საგრძნობლად გადაკეთებული ცნობილი სტრიქონები

● **თვალი** გვიჭირავს შენზედა, უშრომლად გამდიდრებულო!

● **ტყეში** წასვლამას უხარის, ვისაც კარგი ცული აქვსო.

● **რა** ლამაზი ხარ, ქალაო, წარბ-წამწამდაუხატავი!

● **ჟუჟუნა** წვიმა მოვიდა, ქუჩები ათხარ-დათხარა.

● **ყოველი** მხრით დამჩაგვრელი — მე ვარ თამბაქო ბოლიძე.

● **ტელეფონი** ღმერთს უყვარდა, დაიდგა და ვერ დარეკა.

● **სიმართლის** ნერგი იხარებს, თუ მოსამართლე არ მოთხრის.

● **გაქვს** საქონელი ურიცხვი, თვითონ შენც საქონელი ხარ!

● **შიში** შეიქმს მოშიშარსა.

● **გრძელსა** ენას დაამოკლებს, მაკრატელ არს ამად კარგი.

საიდუმლო ბარათო, — ვერ გკითხულობ, — დეპეშავ!

● **არ** მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს!.. გამოსაფხიზლებელშია!..

● **საყვარლის** საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე... გაყიდულიყო.

● **შენ** არ წერ ლექსებს, ლექსებს გიწერენ და გიბეჭდავენ რედაქციები!

● **ცვრიან** ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, არ გაცივდები!

● **ტრამალ** დატრამალ გამოგედევნეთ და დაგიჭირეთ რესპ. ფარგლებგარეთ!

● **ამდენი** ჭამა დაგლიპავს ბოლოს, როგორც დაღიპა ლ. თათქარიძე!

გადააკეთა ბათუ მელიამ

იანუშ ოსენკა
პოლონეთი

ცნობათა ბიურო

რიბაში დიდიხანი ვიდექი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე სარკმელს, რომელზეც ეწერა „ცნობათა ბიურო“. სარკმლის იქით ორი ქალი იჯდა.

— აქ სადმე, ახლომახლო, არის სასტუმრო? — ვიკითხე.

— არ არის!

— იქნებ კერძო ბინა ჰქონდეთ?

— არ არის!

— კემპინგი?

— არ არის!

— თავისუფალი ადგილები მაინც არ არის დამსვენებლებისათვის?

— არ არის!

— კარვების გასაქირავებელი?

— არ არის!

— არც მანქანის შესაკეთებელი სახელოსნო?

— არ არის!

— აღარც რესტორანი?

— არა!

— ადგილობრივ რუკას ვერ ვიშოვი?

— ვერა!

— სად არის ტელეფონის ჯიხური?

— არსად!

— იქნებ ტურბაზა იყოს, ჰა?

— არ არის!

თვალი მივატანე: როცა საინფორმაციო ბიუროს ერთი მუშაკი პასუხს მცემდა, მეორე გულმოდგინედ რაღაცას იწერდა.

— საცურაო აუზი თუ არის სადმე?

— არ არის!

— ნავმისადგომი?

— არ არის!

— მაშინ, იქნებ, ის იცოდეთ, თუ მასადილებს ვინმე კერძოდ?

— არ ვიცი!

— სად არის ავტობუსის გაჩერება?

— არ ვიცი!

— არც ბარგის შესანახი ადგილი იცით?

— არა!

— პარკიც აღარ იცით, სად არის?

— არ ვიცი!

— კინო!

— არ ვიცი!

— აფთიაქი?

— არ ვიცი!

— ბენზინის ჩასასხმელი წერტი?

— არ ვიცი!

— ონკანში წყალი მოდის?

— არა!

— ჭაც აღარ არის სადმე?

— არა!

უცებ ის ქალი, რაღაცას რომ გულმოდგინედ იწერდა, ფეხზე წამოიჭრა და იყვირა:

— უკვე ოთხი საათია! დამთავრდა სამსახური!

სანამ ბიუროს გავეცლებოდი, ყურში ჩამესმა: — გაგონილა ასეთი რამ?! რა საშინელება გადავიტანეთ დღეს: თორმეტი ათას ოთხმოცი ინფორმაცია გავეცით. წარმოგიდგენია?!

ბოლონურიდან თარგმნა
გიორგი მაშუტაძემ.

ქართველი მშრომელი კაცი საუკუნეთა მანძილზე მახვილსიტყვაობითა და ენამოსწრებულობით იქარვებდა დარდ-ნაღველს, სატირისა და იუმორის ბასრი იარაღით ებრძოდა ექსპლოატატორულ კლასთა უსამართლობასა და უსულგულობას. ასე შეიქმნა და ეროვნულ განძად გადმოგვეცა მდიდარი ფოლკლორი, რომლის მრავალ ჟანრს ლაღი იუმორი და მებრძოლი სულისკვეთება წითელ ზოლად გასდევს.

სატირა და იუმორი დიდ როლს ასრულებს საბჭოთა სინამდვილეშიც, გვეხმარება წარსულის გადმონაშთების — კერძომესაკუთრული ტენდენციების, მავნე წესჩვეულებების, ლოთობის, მუქთახორობის, მეშჩანობის, ცრუმორწმუნეობისა და ყოველგვარ სხვა მანკიერებათა აღმოფხვრაში.

სატირასა და იუმორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ნეგატიური, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების დაძლევისა და მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

„ნიანგი“ რუბრიკით — **„ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის!..“** — პერიოდულად გამოაქვეყნებს ქართული სატირულ-იუმორისტული ფოლკლორის როგორც ძველ, ისე ახალ ნიმუშებს.

ნახ. ჯ. ლოლუასი

მინიატურები

მებაღონემ მოურავი იხმო იმ დროს, როდესაც თვითონ სადილობდა. ახალი ამბავი ხომ არაფერიაო, ჰკითხა და თან ჭამა განაგრძო.

— ჩვენმა ღორმა ცამეტი გოჭი დაყარა, — მოახსენა მოურავმა, — ღორს კი თორმეტი ძუძუს მეტი არა აქვს.

— მაშ, მეცამეტე რას შვრება?

— იმას, რასაც მე: უყურებს, როგორ ჭამენ სხვები. — უპასუხა მოურავმა.

* * *

ერთმა მდიდარმა კაცმა თუთიყუში იყიდა, ლაპარაკი ეცოდინება და გამართობსო, მაგრამ რასაც კი ჰკითხავდნენ, თუთიყუში ყველაფერზე „დიახო“ უპასუხებდა.

პატრონმა ჰკითხა:

— მაგის მეტი არაფერი იცი?

— დიახ! — მიუგო თუთიყუშმა.

— სულელი ვიყავ, შენ რომ გიყიდე!

— დიახ! — დაუმოწმა თუთიყუშმა.

* * *

ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ ქურდი, რომელმაც მემამულეს ძროხები მოპარა.

— არა სწუხარ, შვილო, რომ ამისთანა ბრალისათვის უნდა ჩამოგახრჩონ? — ჰკითხა მღვდელმა.

— მე უფრო იმას ვწუხვარ, რატომ იმდენი არ მოვიპარე, რომ მოსამართლეები მომესყიდა. — მიუგო მან.

ანდაზები

● **ერთი** ფასი აქვს სიზმარში ნახულ ქისას და სადღეგრძელოში ნათქვამ სიტყვასო.

● **ვალის** პატრონს ვალალა აყრიაო.

● **რა** ხარ და რა შეგიძლია, ეს არ გავიწყდებოდესო, საბანი ისე გეხურეს, როგორც გაგიწვდებოდესო.

● **ავი** გოგო გავათხოვე ქებითა და დიდებითა, მალე უკან გამომიგდეს ლანძღვითა და გინებითა.

● **საღილი** ვისას ვჭამოთ, და— ბრიყვისასო. ვახშამიო? — თუ ვერ შეიტყო, ისიც მისასო.

● **ოხრად** ნაშოვნი ქონება ხმარდება საეიალოსაო.

● **გინდ** რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის გიწამლებიაო.

● **გლახა** ამპარტავანი შინაურსაც ხძულდა და გარეულსაცო.

პაპიროსის მწეველზე

ძმაო, მოსწიე „კოსმოსი“,
ცამდე აუშვი ბოლია,
ქორვაჭრისაგან ვიყიდე,
მახორკა ნუკი გგონია!

უხეირო თავმჯდომარეზე

სულ არ შეშვენის კოლექტივს
თავკაცად შენი ფერია,
უფროსად უვარგისი ხარ,
როგორც სახინკლედ — ქერია,
ხალხს ზურგით აძლევ პასუხსა,
აბა, ეგ რაის ფერია?!

ნახ. ბ. დეისაძისა

კაფიანობა ლუდის ბარში

— ლუდი ხომ მთაშიც არ გაკლდა,
რად ჩამოსახლდი ბარშია?!
— იმად, რომ ბარში ბარია!
ალუდავ, ბარიბარში ვართ!

ქისტაურების წისქვილი

ხორხის ჭალაზე მივდივარ,
გრიალი მესმის ზეცითა.
თურმე იქავე, გზის პირას,
წისქვილი ბრუნავს ცეცხლისა.

კარი გავაღე, შიგ შეველ,
ვერ გავძელ გარეთ ჭვრეტითა:
ხუთნი აყრიდენ საფქავსა,
ფქვილი გადმოდის ჩქეფითა,

ოთხნი ბიჭები ფქვილს ჰკრეფენ,
„მეშოკებს“ ტენენ კეტითა.
გავხედე შიგნით ეზოში,
სავსეა „ფურგუნებითა“.

ვიფიქრე: „ამას თუ ჰქვიან
ცხოვრება ფუფუნებითა“.
სირცხვილით ქისტაურებო,
გარეთ როგორა სჩნდებითა?

ერთი წისქვილი გიბრუნავთ,
ეგაც ცას ჰკიდავ ბეწვითა,
ეგაც რომ ჩამოგეშლებათ,
შიმშილით ამასწყდებითა.

რასაც ეგ ერთ კვირას დაჰფქავს,
ერთ დღეს დავნაყავ ქვებითა.



ჩხუბისთავი

ჩემი ძმობილი „პრიგალი“
სადაც ჩხუბია, იქ არი,
ცოტახან შაუბოწიწკებს,
მოვიხედავ და... ძირს არი.

ნათლიმამა და ნათლია

— შენ რო გნახავ, ნათლიაო, გამიხდება კაი გული.

— ერთ ლამაზი შენა გნახე, ერთიც ქალაქს მაიმუნი.

— ნათლი, აგრე რად გამამიმეტე?

— რა ვქნა, ნათლიმამ, სიტყვამ მაიტანა.

შეკრიბეს ნოდარ შამანაძემ და **ალექსი ჭინჭარაულმა.**

79-766

76137

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПОЛИТИКУРИ ПАМФЛЕТИ

ალიბაბა და თორმეტი ყაჩაღი

ЖВЕЛИ ПРЕСИС ФУРЦЛЕБИДАН

სამგზავროდ

სპარსეთის შაჰი
მაჰმედ ალი,
ქვეშევრდომებზე
უზომოდ მწყრალი,
რეაქციითა
მიროსცხებული,
სამგზავროდ არი
გამზადებული.
სჩანს, თავრიზიდან
მოსულა ცნობა...
და გაჰქრა შაჰის
„კეთილი გრძნობა"!
აღარა ხუმრობს
ადირბეჯანი
და რეაქციას
მოსტეხა ჯანი.
ილესავს კბილებს
მაჰმედ ალი,
უცხოეთისკენ
უპყრია თვალი.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი",
№ 39, 1908 წელი.

შაჰმა დ ი ლ ი ს ნამაზი ილოცა, მერე ლულა-ქაბაბივით გრძელ სიგარას თავი მოაკბიჩა და ის იყო, მსახურმა სანთებელიდან ალი ამოუგდო, რომ თვალები შიშმა აუმღვრია — თამბაქოს ნავთის გემო ჰქონდა!.. „სევაკის" აგენტი მალე გარეთ გავიდა და რეზა ფეჰლევი ისევ მარტო დარჩა ირანის ისტორიის შიხურულ კართან!.. დილის ბიფშტექსიც ნავთით ყარდა, თურქულ ყავაშიც ნავთი ერია, ლამაზ ხალიჩაზეც ნავთი დაეღვარათ!..

ყველგან ნავთია, ნავთი!..

რევოლუციის ჯინი აქაც უკან დასდევს!.. ირანსაც მან წააყრევინა მოსართავი, თორემ რეზა ფეჰლევი ცამდე მართალია!.. არა, მაინც რა დანაშაულში უდგას ფეხი, რომ შაჰის სახელი სახედარს აჰკიდეს. არა, ისტორიას ლოგიკა აქაც ღალატობს!.. ნახევარი ირანი საპყრობილეში რატომ იქექებოდა? ალაჰ, შენ მიხსენი უგუნური კითხვისაგან! მაშ, „სევაკი" რიღასთვის იყო?! სახელმწიფოს გარღვეული ჯიბიდან გადმოღვრილი ოქრო უსაქმურებს ხომ არ უნდა ჩაეყარათ კალთაში?!. თავისუფალ აზრს დევნიდაო! ესეც წითელი პროპაგანდაა! რეზა ამაშიც სიმართლეს უზის გვერდით. განა ვისი ბრალია?! ძაღლი იმას ულრენს, ვისაც ხელში ჯოხი უჭირავს!.. ირანის გაძარცვაც დაბლანდული ტყუილია. სინდისი აქაც აღზევნის მარილივით თეთრი აქვს. მაშ, რა უნდა ექნა, — შავი დღისთვის აღარაფერი არ უნდა გადაედო და ახლა ბროდვეის მათხოვრად ქცეულიყო?!.

მისტერ ამერიკას ღარიბი არც შაჰი უყვარს, არც მუეძინი!.. დიახ, აქაც ირანის თავმოყვარეობას გაუფრთხილდა, ეროვნული სიამაყე შეინახა, თორემ ოქროთი ეშმაკს ჯიბეს ისე არ აუვსებდა!.. მაგრამ ვერ გაუგეს, ხალხი ყრუა, ბრმაა, ბნელია, უმადურია! უშაჰო ირანი უწვერო მაჰმადია, მაგრამ ვინ შეხწვდება შაჰის მზეთამზე გონებას?!.

ზოგი პირბოში იმასაც საუკუნის ცოდვად ადებს, რომ აჯანყებულებს ტყვია დააყარა!..

ესეც ტყუილია, მონაჩმახია! მაშ, ტყვია რისთვის დნება, თუ ვინმეს არ ესროლე?!. აი, ბრიყვები, უგუნურები! იქნებ ჭგონიათ, რომ ფლავში ქიშმიშის მაგივრად უნდა ჩაეყარათ?!

ამ დარდს გაექცეოდა, მაგრამ ნავთის სუნს ვერსად წუვიდა, ვერსად დაემალა!..

ერისთვის ზრუნავდა ფეჰლევი, ძია სემიც იმიტომ გამოატარა წინა კარებში და ნავთის მდინარესაც უფრო იმიტომ გაუჭრა დასავლეთისკენ კალაპოტი, რომ ისევ ხალხისას უფრთხილდებოდა! — ახე რომ არ ექნა, ირანი ეროვნულ კოლორიტს დაკარგავდა, მათხოვარი გაქრებოდა, ღარიბი ძოსეებს — გადაურჩა და, ქვეყანა სახეს იცვლიდა და დაიკარგებოდა!..

რა მისცა ხალხს რევოლუციის ჯინმა?

ათასი პრობლემა, ათი ათასი საზრუნავი და თავში საცემი!...

მერედა, ვისი ბრალია ეს ყველაფერი?!.. განა რეზა ფეჰლევიმ ყველაფერი არ იღონა, რომ ერი ასეთ მძიმე უღელში არ შებმულიყო, მაგრამ კარგი საქმე ავმა თვალმა ვერ დაინახა — სანაგვე ცოცხზე დასვეს და ოკეანის იქით ისროლეს!...

უმადურია ხალხი!.. ამაგის დაფასება არ იცის!.. ეს კი არა, ფეხად რომ არ აესწრო თვითმფრინავში, სახრჩობელას თოკს უწნავდა მთელი ირანი!...

მარტო ალაჰმა იცის, რისთვის!..

ახლა კიდევ ეს ნავთის სუნი, სინდისის ეს მდევარი ჩაუყენა კვალში!..

მართალია, ამერიკამ „სალემ ალეიქუმით" მიიღო, დოლარმაც გვერდით ჩაიწია და ადგილი გაუნაწილა, მაგრამ უგვირგვინო ყაენი არც ძია სემს მოსწონს!.. თუმცა, ვისაც ისტორიამ ხელი ჰკრა და წააბარბაცა, ყველა ოკეანის იქით დადგა ფეხზე!... ყველა ძია სემის მხარს მიეყუდა!...

ამერიკული დოგი ნებივრად გაშოტილა მდიდრულ სპარსულ ხალიჩაზე!..

ირანში კი რევოლუციის ჯინი დაჰქრიხ!... ფეჰლევთა ტახტრევანიც მუზეუმმა ჩაიბარა!..

წინათ ქართველობას ერთი კარგი ადათი ჰქონდა: გაზაფხულის ბუნიობას, როცა წყალი ამალლდებოდა, ჩვენებური გლეხი მსხვილ გოგრას შაჰის წვერ-ულვაშით მორთავდა, თვალებად ორ ნაკვერჩხალს ჩაუსვამდა, სიცილ-ხარხარით მიიტანდა და ღრმა მორევში გადაუძახებდა!..

მერე ეს ადათი დროის კალთამ დაფარა!.. მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიას უყვარს ზოგი ხუმრობის სიმართლედ ქცევა!..

ახლა ირანმა გამართა თავისი „უველიერი" და ბედის ნებიერი შაჰი ისტორიის სიღრმეში ისროლა!...

მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა — მეფენი!..

ისევ ნავთის სუნი ეცა რეზას!..

ИНТЕРВИУДАН: — თქვენი ყველაზე საყვარელი ნაწარმოები? — „ალიბაბა და თორმეტი ყაჩაღი!"

ALI BABELI

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ გოლეგაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 22/X-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XII-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. შეკვ. 2659. უე 00844. ტირ. 160.100. Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ბ. ჯაშიძე, ბ. დეისაძე, ბ. ლომიძე.

766